

Open  
Government  
Partnership



ღია მმართველობა საქართველო  
სამოქმედო გეგმა

---

2014-2015

---

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მიზანია მსოფლიოს მასშტაბით მთავრობათა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაზრდა. „OGP“ 2011 წელს აშშ-ისა და ბრაზილიის პრეზიდენტების ინიციატივით დაარსდა და დღეს 65 სახელმწიფოს აერთიანებს. საქართველო პარტნიორობას 2011 წლის 20 სექტემბერს შეუერთდა.

„OGP“-ს მართავს მთავრობათა და არასამთავრობო ორგანიზაციათა თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებისგან შემდგარი კომიტეტი. **2014 წელს პარტნიორობა სახელმწიფოებმა საქართველო „OGP“-ის მმართველი კომიტეტის წევრად აირჩიეს.** საქართველოს მთავრობას კომიტეტში იუსტიციის მინისტრი წარმომადგენს.

„OGP“-ის წევრი სახელმწიფოები სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით შეიმუშავენ ეროვნულ სამოქმედო გეგმას და წარადგენენ გეგმის შესრულების ანგარიშს.

წინამდებარე დოკუმენტი მოკლედ ასახავს ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს რიგით მეორე 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით (სამოქმედო გეგმა) გათვალისწინებულ ვალდებულებებს. სამოქმედო გეგმაში ასახული გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დღის წესრიგი და ამბიციური ვალდებულებები ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას ემსახურება.

სამოქმედო გეგმა მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციათა და ფართო საზოგადოების ერთობლივი პროდუქტია. გეგმის შემუშავებაში ქვეყნის მასშტაბით გამართული საჯარო კონსულტაციების გზით მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მოქალაქეებმა. გეგმა შემუშავდა ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმის ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის (ფორუმი) ფარგლებში, რომელიც საჯარო უწყებებით, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებით არის დაკომპლექტებული.

ფორუმის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს სამოქმედო გეგმის პირველად პროექტში ასახულ ვალდებულებებს. გარდა ამისა, მათი დამატებითი რეკომენდაციები, რომლებიც სამოქმედო გეგმის პირველი პროექტის შემუშავების შემდეგ წარმოადგინეს, გათვალისწინებულ იქნა და აისახა სამოქმედო გეგმაში.

სამოქმედო გეგმაში გაერთიანებულია 16 პასუხისმგებელი უწყების 27 ვალდებულება, რომლებიც შესაბამისობაშია ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპებთან და პასუხობს პარტნიორობის 4 გამოწვევას: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

# ბამონვევა I: საჯარო სერვისების გაუმჯობესება

1

## კერძო სექტორის სერვისების დანერგვა იუსტიციის სახლებში



იუსტიციის სახლი დანერგავს ახალ პროდუქტებს: მოქალაქეებს პასპორტზე განაცხადის გაკეთებასთან ერთად საშუალება მიეცემათ, იუსტიციის სახლშივე აიღონ სამოგზაურო დაზღვევის პოლისი. გარდა ამისა, მომხმარებლები ერთ სივრცეში შეძლებენ სახელმწიფო უძრავი ქონების როგორც შესყიდვას ან იჯარით მფლობელობაში აღებას, ისე ამ ქონების რეგისტრაციას.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
განხორციელების ვადა: 2014 წ.

2

## მომხმარებლის ხმა

ამ ვალდებულების ფარგლებში იუსტიციის სახლი დანერგავს უკუკავშირის მექანიზმს - „მომხმარებლის ხმას“, რომლის მიზანი იქნება მოქალაქესთან კომუნიკაცია და არსებული პროდუქტების, მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, შესაძლებლობის ფარგლებში კი, სერვისების, არსებული პროცედურებისა და სტანდარტების გაუმჯობესება მოქალაქეთა მოსაზრებების გათვალისწინებით და მათი ჩართულობით.



პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
განხორციელების ვადა: 2014 წ.

**3 მომხმარებლის კომფორტზე ორიენტირებული ახალი სერვისის - „JUSTDRIVE“ - ამოქმედება**



იუსტიციის სახლის ახალი პროექტი „JUSTdrive“ სასურველი სერვისის მიღების კიდევ ერთი კომფორტული და ინოვაციური გზა იქნება მოქალაქეთათვის. მომხმარებელი შეძლებს, დაზოგოს დრო და ავტომობილიდან გადაუსვლელად თბილისის იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, „JUSTdrive“-ის ფანჯარასთან, მხოლოდ ელექტრონული პირადობის მოწმობით მიიღოს სასურველი მომსახურება.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - იუსტიციის სახლი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**განხორციელების ვადა:** 2014 წ.

**4 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სახლში**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მომსახურებების გამარტივებისა და იუსტიციის სახლის ერთ სივრცეში მოქცევის მიზნით ამ ვალდებულების ფარგლებში სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენციაში გადავა განათლების სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული დოკუმენტების დამოწმება, დამოწმებული დოკუმენტები კი გაიცემა იუსტიციის სახლის სივრცეში.

ეს ცვლილება მნიშვნელოვნად გააადვილებს განათლების სამინისტროს საჯარო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას. მოქალაქე მომსახურებას მიიღებს საქართველოს ყველა ძირითად რეგიონულ ცენტრში იუსტიციის სახლების მეშვეობით ერთ სივრცეში (ამჟამად საგანმანათლებლო დოკუმენტების დამოწმება ხორციელდება მხოლოდ თბილისში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში).

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
**განხორციელების ვადა:** 2014 წ.

**5 მოქალაქის პორტალის - „WWW.MY.GOV.GE“ - ბანკითარება**

დღეისათვის მოქალაქის პორტალზე (WWW.MY.GOV.GE) ინტეგრირებულია 60-მდე სახელმწიფო სერვისი და 80-მდე კომუნალური გადასახადი. პორტალს, ასევე, აქვს ბიზნესის ონლაინრეგისტრაციის მოდული. მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს, ელექტრონულად გააგზავნოს წერილი სახელმწიფო

უწყებაში და ელექტრონულადვე მიიღოს პასუხი. ამ ვალდებულების ფარგლებში მონაცემთა გაცვლის სააგენტო განავითარებს მოქალაქის პორტალს და დაამატებს ახალ, მათ შორის, მუნიციპალურ ელექტრონულ სერვისებს.



**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
**განხორციელების ვადა:** 2014 წ.

## ელექტრონული მხარეთმცოდნეობის დანერგვის გზით ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაძლიერება



განვითარდება საზოგადოებრივი ცენტრები (ცენტრი), რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურით და უახლესი ტექნიკით. დღეისათვის არსებულ ცენტრებში დასაქმებულნი არიან საგანგებოდ შერჩეული და გადამზადებული ადგილობრივი კადრები. ცენტრებში ელექტრონული მმართველობის გამოყენებით ხელმისაწვდომია ცენტრალური ხელისუფლების, მუნიციპალური და კერძო სექტორის სერვისები, უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეოკონფერენციის აპარატურა, ბანკომატები და სწრაფი გადახდის აპარატები.

ამ ეტაპზე საქართველოს მასშტაბით 12 ცენტრი ფუნქციონირებს, ვალდებულების ფარგლებში 2014 წლის ბოლომდე დაგეგმილია 6 დამატებითი ცენტრის მშენებლობა. ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ექნება, მიიღოს 200-მდე მომსახურება სოფლიდან გაუსვლელად. ადგილობრივი თვითმმართველობები ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩაერთვებიან. ადგილობრივ დონეზე შესაძლებელი გახდება სხვადასხვა ელექტრონულ მონაცემთა ბაზასთან წვდომა, რაც შეამცირებს ადამიანური და დროითი რესურსების დანახარჯებს.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.

## რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით

ეს ვალდებულება გულისხმობს საჯარო ბიბლიოთეკების გამოყენებას ახალი დანიშნულებით: ტრადიციულ ფუნქციებთან ერთად, ბიბლიოთეკები შეიძენს საზოგადოებრივი ცენტრების ფუნქციებს. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, ახალი წიგნები) აღჭურვილ ბიბლიოთეკებში საზოგადოებას გადამზადებული ბიბლიოთეკარები გაუწევენ მომსახურებას.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**განხორციელების ვადა:** 2014 წ.





საქართველოში საიდენტიფიკაციო სერვისების განვითარება მოიცავს ორ კომპონენტს: **ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების დანერგვა**, პირადობის ელექტრონული მოწმობისა და მასში რეალიზებული უსაფრთხო ავთენტიფიკაციის მექანიზმების გამოყენებით და **ციფრული ხელმოწერისა და შტამპის დანერგვა**, რაც მიზნად ისახავს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემების განვითარებას.

საიდენტიფიკაციო სერვისების განვითარება გაამარტივებს ორგანიზაციების შიდა პროცესებს და შეამცირებს ქალაქზე დაფუძნებულ სამუშაოს, ასევე, გააუმჯობესებს მოქალაქეთა მომსახურებას – მათ საშუალება ექნებათ, სახლიდან გაუსვლელად განახორციელონ მნიშვნელოვანი ხელმოწერები. პროექტის

განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება ოფიციალური დოკუმენტების (მაგ., დაბადების მოწმობა, ატესტატი, დიპლომი) ელექტრონული სახით გაცემა, რაც დაზოგავს როგორც ქალაქის, ისე საბეჭდი აპარატურის შექმნა-მომსახურების ხარჯებს და გააუმჯობესებს მომსახურებას.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.

ვალდებულება გულისხმობს ღია მონაცემების პორტალის (DATA.GOV.GE) შექმნას, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო დაწესებულებების ღია მონაცემები საჯაროდ გამოქვეყნდება დამუშავებად, გამოთვლად და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფორმატებში. პორტალი ბიზნესს, არასამთავრობო და სამთავრობო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს შეუფერხებლად ისარგებლონ ამ მონაცემებით, მათი გამოყენებით შექმნან აპლიკაციები და ელექტრონული სერვისები და მიიღონ ეკონომიკური სარგებელი.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.



## გამონკვევა II: საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების ახალღება

10

### ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება



ამჟამად საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები გაბნეულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში. ამასთან, მნიშვნელოვანი სირთულეები გვხვდება კანონმდებლობის პრაქტიკაში იმპლემენტაციისას. არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სპეციალური კანონის მიღება, რომელმაც, ერთი მხრივ, უნდა აღმოფხვრას არსებული საკანონ-

მდებლო ხარვეზები, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმების კონსოლიდაცია ერთ ნორმატიულ აქტში, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს როგორც პრაქტიკის მოწესრიგებას, ისე ღია, ანგარიშვალდებულებული, რაციონალური და ოპტიმალური საჯარო სამსახურის განვითარებას.

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
განხორციელების ვადა: 2015 წ.

11

### ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმია, რომელიც მოქმედებს ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში. ფორუმის ამოცანებია: ეროვნულ დონეზე ღია მმართველობის საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადების მონაწილეობით პროცესის ხელშეწყობა, საჯარო კონსულტაციების დაგეგმვა და ჩატარება; სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი; ასევე, ღია მმართველობის პარტნიორობის სხვა პროცესების კოორდინაცია. ფორუმი საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან შედგება და რეგულარულად იკრიბება. ფორუმის საქმიანობის ადმინისტრირებას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო.



პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
განხორციელების ვადა: სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის განმავლობაში



შეიქმნება პეტიციების ელექტრონული პლატფორმა [www.ichange.ge](http://www.ichange.ge). მისი გამოყენებით შესაძლებელი იქნება მოქალაქის მიერ მთავრობის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ელექტრონული პეტიციის ინიცირება. წინადადებები, საკმარისი რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში, განიხილება მთავრობის მიერ. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც რეგულარულად შეიკრიბება და განიხილავს ინიციატივის განხორციელების პროგრესს.

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია  
**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.

განისაზღვრება საჯარო სამსახურში მიღების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემა. მნიშვნელოვანია, მიღების პროცედურები იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, რათა დაცულ იქნეს დასაქმების მსურველთა უფლებები და, ამავე დროს, საჯარო დაწესებულებას ჰქონდეს მოქნილი და ეფექტიანი კონკურსის ჩატარების შესაძლებლობა.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო  
**განხორციელების ვადა:** 2014 წ.





# საქართველო „ღია მმართველობის პარტნიორობაში“

2011



✓ საქართველო OGP-ს  
2011 წელს შეუერთდა

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP)  
დაფუძნდა 8 ქვეყნის ინიციატივით

2012

✓ 2012-2013 წლების  
ეროვნული სამოქმედო გეგმა

პირველ ეროვნულ  
სამოქმედო გეგმაში იყო:  
10 საჯარო დაწესებულების  
12 ვალდებულება

OGP  
65 ქვეყანას  
აერთიანებს

2013

✓ 2012-2013 წლების  
ეროვნული სამოქმედო გეგმის  
მნიშვნელოვანი შედეგები

- გლობალურად ქვეყნდება საჯარო ინფორმაცია;
- შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის  
ელექტრონულად გამოთხოვა;
- შეიქმნა მოქალაქის კორტალი [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge);
- შეიქმნა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი.



2014

✓ დანიყო 2014-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება

✓ საქართველოს მთავრობამ 2014-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა

• 2014-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად საქართველოს 15 ქალაქში გამართულ საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 700-მდე მოქალაქე

✓ 64-მე პარტნიორმა ევკეანამ საქართველოში მმართველი კომიტეტის წევრად აირჩია

• 16-მე საჯარო დაწესებულებამ 27 ვალდებულება აიღო, მათ შორისაა:

- 🔒 ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება;
- 📢 ელექტრონული კვებითების პორტალის შექმნა;
- 📄 დიუ მონაცემების პორტალის - [data.gov.ge](http://data.gov.ge) - ამოქმედება;
- 📄 საჯარო სამსახურში მიღების მიუკერძოებელი წესების შემუშავება;
- 🔍 ეროვნული მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა;
- 📊 ფარული მიყურადების შესახებ სასამართლო სტატისტიკის გამოქვეყნება;
- 🏢 საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება;
- 📖 საჯარო ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია.




**საჯარო მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა**

საქართველოში დაინერგება თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა, რაც საერთაშორისო დონეზე კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აპრობირებული საშუალებაა. დეკლარაციების მონიტორინგი გაზრდის თანამდებობის პირთა ფინანსურ ანგარიშვალდებულებას და შეამცირებს კორუფციულ რისკებს.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო  
**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.

**პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნება დამუშავებად ფორმატში**

პოლიტიკური ფინანსების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით პარტიების მიერ დამუშავებად ფორმატში („Excel“-ის ცხრილები) წარდგენილი ინფორმაცია და სტატისტიკა გამოქვეყნდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე.



**პასუხისმგებელი უწყება:** სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
**განხორციელების ვადა:** 2014 წ.

**ონლაინკონსულტაციის მექანიზმის დანერგვა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

ვალდებულების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი ხელმისაწვდომი გახდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის და დაინერგება ონლაინკონსულტაციების მექანიზმი. ვებგვერდზე განთავსებული „ლაივ-ჩათის“ აპლიკაციის მეშვეობით მოქალაქე შეძლებს, დაუკავშირდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს შეკითხვით თუ რეკომენდაციით უწყების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.



**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო  
**განხორციელების ვადა:** 2014 წ.



საქართველოს მთავრობა იზიარებს სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციას მიყურადების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების საჭიროების შესახებ. მოქმედი კანონმდებლობით, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით არის შესაძლებელი. 2014 წლის სექტემბრიდან საქართველოს უზენაესი სასამართლო გამოაქვეყნებს მიყურადების შესახებ კვარტალურ სტატისტიკას, 2015 წლიდან კი უზრუნველყოფს წლიური მონაცემების გამოქვეყნებას.

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს უზენაესი სასამართლო  
**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.

ამომრჩეველთა ჩართულობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი განახორციელებს სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო ღონისძიებებს ამომრჩეველთა კორპუსისა და არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის.



**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია  
**განხორციელების ვადა :** 2014 წ.

## ბამონვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა

19

### საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბება

ეს ვალდებულება გულისხმობს საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის და ამ პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმის შექმნას, რათა მოქალაქეს ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია და მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვაში. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საბიუჯეტო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მხარჯავი დაწესებულებების ვებგვერდების მეშვეობით საზოგადოებას ინტერაქტიურ კითხვარებს შესთავაზებს, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოების საბიუჯეტო პროცესებში აქტიური ჩართვა.

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს მთავრობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.

20

### სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოება - „ყველა ყველაფერს ხედავს“

სახელმწიფო შესყიდვების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გაფართოვდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და მასში ინტეგრირებული იქნება კონკურსის ელექტრონული მოდული, რაც მიმწოდებლებს საშუალებას მისცემს, კონკურსში მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, როგორც ეს ტენდერის შემთხვევაში ხდება. სისტემაში კონკურსების დანერგვა მოხსნის გეოგრაფიულ ბარიერს და გაამარტივებს კონკურსში მონაწილეობას.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.



21

### საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება

ვალდებულება გულისხმობს ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის – „e-HMRS“ – განვითარებას. „e-HMRS“ ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული პერსონალის ერთიანი მონაცემთა ბაზაა და მისი მიზანია ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის უზრუნველყოფა. პროგრამა საჯარო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, ოპერატიულად მიიღონ სისტემაში არსებული

ინფორმაცია და მიღებული მონაცემები ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის დახვეწის მიზნით გამოიყენონ.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.





ელექტრონული არქივი – ციფრული მონაცემების შენახვის ელექტრონული გადაწყვეტა – ციფრული მონაცემების ხანგრძლივი შენახვის, მათი ავთენტური ელექტრონული ხელმისაწვდომობისა და გამოყენებადობის შესაძლებლობას შექმნის. ელექტრონული არქივის პროექტი საშუალებას იძლევა, დოკუმენტები ხანგრძლივი პერიოდით ტექნოლოგიებისგან ნეიტრალური სახით საიმედოდ შენახული იყოს ელექტრონულად და გამარტივდეს მათზე ინტერნეტის საშუალებით ყველა დაინტერესებული მხარის წვდომა.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი, სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.

## 23 ეროვნული არქივის გამყვინვალობა და საბარქივო ფონდის ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამჟამად სახელმწიფოს გამგებლობაში არსებული არქივების მომსახურება ფასიანია. ვალდებულების ფარგლებში გადაისინჯება ნორმატიული ბაზა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არქივების მეტი გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდა. უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები; მკვლევარებს შესაძლებლობა ექნებათ, შეუზღუდავად იმუშაონ საარქივო დოკუმენტებზე.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.



### შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება



მაღალი საზოგადოებრივი და სამეცნიერო ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი უზრუნველყოფს ყოფილი სახელმწიფო უშიშროების არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის შექმნას შესაბამისი აღწერილობით და კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში მის გამოქვეყნებას.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია  
**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.

### საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა

ვალდებულებით გათვალისწინებულია საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შემდგომი სრულყოფა-განვითარება, რაც გულისხმობს არსებული სისტემების (სახელმწიფო ხაზინის მართვის ელექტრონული სისტემა (eTreasury),

ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემა (eBudget), სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა (eDMS) და ელექტრონული აუქციონის სისტემა (eAuction.ge)) დახვეწასა და ფართომასშტაბიან დანერგვას.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო  
**განხორციელების ვადა:** 2014-2015 წწ.



## ბამონჯევა IV: უსაფრთხო ბარემოს შექმნა

26

„112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა

2014 წლის ბოლოსთვის დაინერგება „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული და ინოვაციური არხები, რათა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს), საჭიროების შემთხვევაში, „112“-თან ოპერატიული წვდომის შესაძლებლობა ჰქონდეს. ცენტრი ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა ალტერნატიული არხით, მათ შორის:



- სხვადასხვა ობიექტზე დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო ან მხუთავი აირის დეტექტორით, რომელიც ობიექტზე საფრთხის წარმოქმნისთანავე განგაშის სიგნალს ავტომატურად გაგზავნის „112“-ში;
- მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) ან ვიდეოზარით (დაკავშირების ეს არხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, რომელთაც მეტყველების ან სმენის პრობლემა აქვთ);
- „GPS“ ტრეკერით – სატელიტური მოწყობილობით, რომლის საშუალებითაც განგაშის სიგნალის „112“-ში გაგზავნა მაშინაც იქნება შესაძლებელი, თუ პირი გასულია მობილური ოპერატორების მომსახურების ზონიდან.

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ - „112“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

განხორციელების ვადა: 2014 წ.



ვალდებულების ფარგლებში ხელმისაწვდომი გახდება სისხლის სამართლის საქმეების ელექტრონული სისტემის მონაცემებზე დაფუძნებული ინტერაქტიური სტატისტიკა. შემუშავდება დანაშაულის დეტალიზებული კრიმინოგენური რუკა, ინტერაქტიური ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს დეტალური და მრავალფეროვანი სტატისტიკის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ფორმატში და ცვლადებით, მათ შორის, დროის, დანაშაულის ტიპის, რეგიონისა და სხვა პარამეტრების მიხედვით.



პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო  
განხორციელების ვადა: 2014-2015 წწ.





**USAID**  
ამერიკელი ხალხისაგან

დემოკრატიული მმართველობა  
საქართველოში (G3) პროგრამა



საქართველოს  
იუსტიციის  
სამინისტრო

საკონტაქტო ინფორმაცია:  
ქ.თბილისი, გორგასლის №24 ა;  
[www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge)  
[www.facebook.com/ogpgeorgia](https://www.facebook.com/ogpgeorgia)  
[ogpgeorgia@justice.gov.ge](mailto:ogpgeorgia@justice.gov.ge)